პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალგაზრდა
სტალინელი

ი. ბ. სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პარტიული კომიტეტის, რექტორატის, კომკავშირის კომიტეტის, პროფკომისა და ადგილკომის ორგანო
Ахалгазрда Сталинели — орган парткома, ректората, комитета ЛКСМ, профкома и месткома Тбилисского государственного университета имени И. В. СТАЛИНА

გამოცემის მეხუთე წელი

№ 8 (144)
ოთხშაბათი
21
მარტი
1956 წ.
ფასი 20 კაპ.

თბილისის სახ. სახელმწიფო ბიბლიოთეკა

# ღრმად შევისწავლოთ სკკპ XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ჩვენს ქვეყანას კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ახალი დიდი ამოცანები, ახალი შესანიშნავი პერსპექტივები დაუსახა. საბჭოთა ხალხის უმაგალითო პოლიტიკური და საწარმოო ენთუზიაზმი გამოიწვიეს პარტიის XX ყრილობის ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებაში, რომელიც გააკეთა ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვმა, და ყრილობის გადაწყვეტილებებში ღრმად და ყოველმხრივ არის დამუშავებული მარქსისტულ-ლენინური თეორიის უმნიშვნელოვანესი საკითხები — სოციალისტური და კაპიტალისტური მსოფლიო სისტემების მშვიდობიანი თანაარსებობის, თანამედროვე ეპოქაში ომების თავიდან აცილების შესაძლებლობისა და სოციალიზმში სხვადასხვა ქვეყნების გადასვლის ფორმების შესახებ; მათში მოცემულია ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის მომავალი მუშაობის საბრძოლო პროგრამა.

ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და ინტელიგენცია, ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი და შთაგონებულნი, ერთსულოვნად გამოხატავენ თავიანთ მზადყოფნას წარმატებით განახორციელონ მეექვსე ხუთწლიანი გეგმა და ამით ახალი დიდი ნაბიჯი გადადგან წინ, კომუნიზმის მშენებლობის გზაზე.

ჩვენი პარტიის ძალისა და ძლიერების წყაროა მისი ურღვევი კავშირი ხალხის ფართო მასებთან. საბჭოთა ადამიანებმა იციან, რომ პარტია განუწყვეტლივ ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის, ჩვენი ქვეყნის აყვავებისათვის. ამიტომ საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ ენდობა თავის მშობლიურ პარტიას და მტკიცე რწმენით მიჰყვება მას ძლევამოსილი კომუნისტური მშენებლობის გზით. ჩვენი სამშობლოს ხალხთა დაუშრეტელ შემოქმედებითს ინიციატივასა და შრომითს აქტიურობაში გამოხატულია მათი მხურვალე სიყვარული სოციალისტური სამშობლოსადმი, მგზნებარე საბჭოთა პატრიოტიზმი. კომუნისტური პარტიის დიადი წინასწარმეტყველობანი, ახალი ხუთწლედის უდიდესი სამუშაოები საბჭოთა ადამიანების უდიდესი პატრიოტული სიამაყის გრძნობით აღავსებს, ახალი შრომითი საგმირო საქმეებისათვის შთააგონებს და აღაფრთოვანებს მათ.

პარტიის ცენტრალური კომიტეტი განუხრელად იცავდა და ავითარებდა ლენინურ მითითებებს პარტიაში კოლექტიური ხელმძღვანელობის შესახებ. პარტიის XX ყრილობამ დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს არ შეეგუონ [illegible] პიროვნების [illegible], [illegible] დაიცვან ხელმძღვანელობის კოლექტიურობისა და შინაპარტიული დემოკრატიის ლენინური პრინციპები, მთელ თავიანთ მოღვაწეობას საფუძვლად დაუდონ მარქსისტულ-ლენინური გაგება იმისა, რომ ახალი ცხოვრების ნამდვილი შემოქმედი — ეს ხალხის მასებია, რომელთაც კომუნისტური პარტია ხელმძღვანელობს.

ამჟამად პოლიტიკური აგიტაციისა და პროპაგანდის ყველა ფორმა — საუბრები, ლექციები, სემინარები, კრებები იმისათვის უნდა გამოვიყენოთ, რომ თვითეულ კომუნისტს, თვითეულ მეცნიერ მუშაკს, თვითეულ სტუდენტს, თვითეულ მშრომელს გავაცნოთ და შევასწავლოთ პარტიის XX ყრილობის მასალები. ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა და შესწავლა ისე უნდა ვაწარმოოთ, რომ იგი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, ჩვენი სახალხო მეურნეობის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებთან.

ჩვენი უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკური ეკონომიის კათედრებმა ფართოდ გაშალეს მუშაობა სტუდენტებში პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა პროპაგანდისა და შესწავლისათვის. ასევე უნივერსიტეტის პარტიულმა ორგანიზაციამ პარტიული განათლების ქსელში დაიწყო სკკპ XX ყრილობის მასალების სწავლება. უნივერსიტეტში მუშაობს პოლიტიკური ეკონომიის შემსწავლელი ოთხი სემინარი და თორმეტი აგიტსემინარი. ამასთან ბევრი კომუნისტი და უპარტიო ამხანაგი წიგნზე დამოუკიდებლად მუშაობის გზით იმაღლებს თავის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონეს. პოლიტიკური აგიტაციისა და პარტიული განათლების ყველა ეს ფორმა გამოყენებულია სკკპ XX ყრილობის მასალების შესწავლისათვის.

ჩვენი ვალია, ყოველმხრივ დავეხმაროთ უნივერსიტეტის სტუდენტებს, პროფესორ-მასწავლებლებს, თანამშრომლებს პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ღრმად დაუფლების საქმეში, ავამაღლოთ თვითეული კომუნისტის, თვითეული მუშაკის, თვითეული სტუდენტის შემოქმედებითი აქტივობა გაბედული პრინციპული კრიტიკისა და თვითკრიტიკის გაშლისა და მასებთან კავშირის შემდგომი განმტკიცების გზით.

უნივერსიტეტის პარტიული და [illegible] ორგანიზაციები, პროფესორ-მასწავლებლები, სტუდენტები და მუშა-მოსამსახურეები მოვალენი არიან კიდევ უფრო გაამაღლონ თავიანთი შრომითი აქტივობა და დარაზმონ იმ დიადი ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად, რომლებიც დასახა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ.

# სკკპ XX ყრილობის მასალების სწავლება უნივერსიტეტში

ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტები, პროფესორ-მასწავლებლები და თანამშრომლები დიდი ყურადღებითა და მონდომებით სწავლობენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის მასალებს: სკკპ ცენტრალური კომიტეტის საანგარიშო მოხსენებას, პარტიის XX ყრილობის დირექტივებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარების მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ, ყრილობაზე პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელი ამხანაგების სიტყვებს.

პარტიის XX ყრილობის მასალების ღრმად და საფუძვლიანად დაუფლების მიზნით ჩვენი უნივერსიტეტის მარქსიზმ-ლენინიზმის, დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის, ფილოსოფიის ისტორიისა და პოლიტიკური ეკონომიის კათედრები 19 მარტიდან ყველა ფაკულტეტსა და კურსზე ატარებენ ლექციებსა და სემინარებს. მათ შორის: მარქსიზმ-ლენინიზმის კათედრა ლექცია-სემინარებს ატარებს ყველა ფაკულტეტის I და II კურსებზე, აგრეთვე მექანიკა-მათემატიკის, ფიზიკის, ქიმიის, დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტების V კურსებზე; დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმის კათედრა — ეკონომიური ფაკულტეტის III და გეოგრაფია-გეოლოგიის, ბიოლოგიის და ფილოლოგიის ფაკულტეტების V კურსებზე; პოლიტიკური ეკონომიის კათედრა — ყველა ფაკულტეტის III კურსზე (გარდა ეკონომიური ფაკულტეტისა), აგრეთვე ისტორიის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ეკონომიური და იურიდიული ფაკულტეტების V კურსებზე; დიალექტიკური და ისტორიული მატერიალიზმისა და ფილოსოფიის ისტორიის კათედრები ყრილობის მასალებზე ლექცია-სემინარებს ატარებენ ყველა ფაკულტეტის IV კურსებზე.

## აგიტაცია ჯგუფში



ბიოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გ. ქაჯაია აგიტატორადაა დანიშნული თავისი კურსის მე-6-ე ჯგუფში. ამხ. ქაჯაია სისტემატურად ესწრება აგიტსემინარებს, გულისხმიერად ემზადება თვითეული საუბრისათვის და ამიტომაცაა, რომ სტუდენტები მას ყოველთვის ინტერესით უსმენენ.

ამჟამად გ. ქაჯაია ჯგუფში საუბრებს ატარებს პარტიის XX ყრილობის მასალების ირგვლივ. მან უკვე გააცნო სტუდენტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება პარტიის XX ყრილობაზე, ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და სხვა.

უახლოეს დროში ბიოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს განზრახული აქვს მოაწყოს სტუდენტთა თეორიული კონფერენცია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ირგვლივ.

**სურათზე:** აგიტატორი გ. ქაჯაია საუბარს ატარებს ჯგუფში პარტიის XX ყრილობის მასალების ირგვლივ.

ფოტო რ. ჟორდანიასი

# უნივერსიტეტის მთელი კოლექტივი იწონებს ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მხურვალედ იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, რომლებიც სახავენ ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისა და კულტურის შემდგომი აღმავლობისა და აყვავების, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესების, მთელს მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების დიად ღონისძიებებს.

დიდი აქტივობით ჩატარდა პარტიის XX ყრილობის შედეგებისადმი მიძღვნილი საერთო კრება ჩვენს უნივერსიტეტში.

კრებაზე, რომელიც გახსნა უნივერსიტეტის რექტორმა პროფ. ვ. კუპრაძემ, XX ყრილობის შედეგებისა და ჩვენი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. გიორგაძემ.

კრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები, რომლებმაც ერთსულოვნად გამოხატეს მთელი ჩვენი კოლექტივის მისწრაფებანი, მისი მტკიცე დარაზმულობა პარტიის XX ყრილობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საბრძოლველად.

სიტყვაში გამოსულმა დოც. პ. გუჯაბიძემ, რომელმაც ილაპარაკა ჩვენს მუშაობაში არსებულ ნაკლოვანებებსა და მათი გამოსწორების გზებზე, აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებანი პარტიის, საბჭოთა ხალხის წინსვლისა და გამარჯვებების დაუშრეტელი წყაროა. ეს გადაწყვეტილებანი გვაძლევენ ნათელ პერსპექტივებსა და ურყევ რწმენას იმისა, რომ მსოფლიოში არ არსებობს ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს საბჭოთა ხალხის ძლევამოსილი წინსვლა კომუნიზმისაკენ.

სიტყვებში გამოვიდნენ აგრეთვე დოც. ვ. ბახტაძე, დოც. პ. კაკელიძე, სტუდენტი ა. სანებლიძე, დოც. გ. გამსახურდია.

კრებამ მიიღო რეზოლუცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ ჩვენი უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, თანამშრომლები და სტუდენტები ერთსულოვნად იწონებენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს და პირობას დებენ, რომ ისინი თავდადებით იბრძოლებენ აღნიშნულ დიდმნიშვნელოვან გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად.

# გულდასმით ეცნობიან ყრილობის მასალებს

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობამ ახალი დიადი ამოცანები და შესანიშნავი პერსპექტივები დაუსახა ჩვენს ქვეყანას. მთელი საბჭოთა ხალხი და მსოფლიოს პროგრესული ადამიანები მხურვალე მოწონებით შეხვდნენ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებს.

ჩვენი ფაკულტეტის თანამშრომლები, აღფრთოვანებულნი ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, ერთსულოვნად გამოთქვამენ თავიანთ მზადყოფნას იმ ამოცანების წარმატებით განხორციელების საქმეში, რომელსაც ჩვენს წინაშე აყენებს მეექვსე ხუთწლედის გრანდიოზული გეგმა. ფაკულტეტის მთელს პედაგოგიურ შემადგენლობას განზრახული აქვს ისე აწარმოოს ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდა, რომ იგი მჭიდროდ იყოს დაკავშირებული კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან, უნივერსიტეტისა და, კერძოდ, ფაკულტეტის წინაშე მდგომ კონკრეტულ ამოცანებთან.

პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა პროპაგანდაში აქტიურ მონაწილეობას იღებს ფაკულტეტის მთელი პარტიული აქტივი. აგიტატორებად მომუშავე კომუნისტი ამხანაგები ღრმად განუმარტავენ სტუდენტებს ყრილობის გადაწყვეტილებებს. ფაკულტეტის თანამშრომლები პოლიტიკური ეკონომიის სემინარზე გულდასმით ეცნობიან XX ყრილობის მასალებს.

თანამშრომელთა ერთი ნაწილი ჩაბმულია მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტში. ჯერ კიდევ ყრილობის გადაწყვეტილებათა გამოქვეყნებამდე ფაკულტეტის პარტბიუროსა და დეკანატის ინიციატივით თანამშრომელთა და სტუდენტთათვის ჩატარდა პროფ. ტ. ათაბეგოვის ლექცია პარტიის XX ყრილობის დირექტივების პროექტზე მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ.

ფაკულტეტის თანამშრომლები გულდასმით ეცნობიან რა პარტიის ყრილობის გადაწყვეტილებებს, თავიანთ უსაზღვრო ერთგულებას გამოთქვამენ პარტიისა და მთავრობისადმი, პირობას დებენ იმუშაონ უფრო კარგად, უფრო ნაყოფიერად, კისრულობენ ახალ გადიდებულ ვალდებულებებს.

**ი. ჭაჭაიაშვილი.**

გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის პარტბიუროს მდივნის მოადგილე

საჯარო ბიბლიოთეკა

# აგიტაცია ჯგუფში



ბიოლოგიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი გ. ქაჯაია აგიტატორადაა დანიშნული თავისი კურსის მე-6-ა ჯგუფში. ამხ. ქაჯაია სისტემატურად ესწრება აგიტსემინარებს, გულისხმიერად ემზადება თვითეული საუბრისათვის და ამიტომაცაა, რომ სტუდენტები მას ყოველთვის ინტერესით უსმენენ.

ამჟამად გ. ქაჯაია ჯგუფში საუბრებს ატარებს პარტიის XX ყრილობის მასალების ირგვლივ. მან უკვე გააცნო სტუდენტებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივნის ამხ. ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება პარტიის XX ყრილობაზე, ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ და სხვა.

უახლოეს დროში ბიოლოგიის ფაკულტეტის პროფბიუროს განზრახული აქვს მოაწყოს სტუდენტთა თეორიული კონფერენცია სკკპ XX ყრილობის გადაწყვეტილებებისა და მასალების ირგვლივ.

**სურათზე:** აგიტატორი გ. ქაჯაია საუბარს ატარებს ჯგუფში პარტიის XX ყრილობის მასალების ირგვლივ.

ფოტო რ. ჟორდანიასი

# სამართლიანად დაისაჯა

ქვეყნად ბევრგვარი სილამაზე არსებობს, მაგრამ სილამაზე სულისა, ადამიანურ გრძნობათა სიფაქიზე და სინატიფე ცხოვრების სამკაული კი არა, მისი აუცილებელი სამოსელია.

ჩვენს დღევანდელ ყოფაში, როდესაც თვითეულ ახალგაზრდას, თუ მოხუცს ერთი კეთილშობილური მიზანი უნდა ჰქონდეს — მიზანი თავდადებული შრომისა სამშობლოს წინსვლისა და ძლიერებისათვის, შეუძლებელია მის გვერდით და მასთან ადგილი დავუთმოთ ცალკეულ პიროვნებათა ამორალურ ქცევას, ადამიანთა ურთიერთ უხეში შეურაცხყოფისა და დამცირების ფაქტებს, საბჭოთა ოჯახის ღირსებისა და დაცვის უგულვებელყოფის ფაქტებს.

უზომო გულისწყრომას იწვევს ის ფაქტი, რომ ჩვენი უნივერსიტეტის ფიზიკის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი, კომკავშირელი გივი ბერაძე სწორედ ასეთი სამარცხვინო მოქმედების ჩამდენი გახდა.

საკმარისი როდია სწავლობდე კარგად და მონაწილეობდე საზოგადოებრივ საქმიანობაში. საჭიროა საკუთარი თავის აღზრდაზედაც იფიქრო. უნდა იცოდე, რომ გამოცდას ისეთ საზოგადოებას აბარებ, რომელიც არ დაუშვებს მისთვის მიუღებელ შედეგს.

ამხ. ბერაძემ უხეშად შეურაცხყო საბჭოთა ახალგაზრდის, კომკავშირელის საპატიო სახელი.

იგი ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან მეგობრობდა ამჟამად უნივერსიტეტის კურსდამთავრებულ ვერა დათაშვილთან, რომელთანაც რეგისტრირებული ქორწინების გარეშე დაიჭირა ინტიმური კავშირი. რამდენიმე ხნის განმავლობაში ისინი ერთად ცხოვრობდნენ გივის ნათესავებთან, შემდეგ კი გივიმ თავისი მეუღლე სრულიად უმიზეზოდ გამოაგდო სახლიდან. მალე გივი ზესტაფონში დაქორწინდა სხვა ქალზე, მაგრამ საქმე ამითაც არ დამთავრებულა. ცოტა ხნის შემდეგ იგი თბილისში დაბრუნდა და, არ გაშორებია რა კანონიერ მეუღლეს, კვლავ აღადგინა ურთიერთობა ვერა დათაშვილთან, რომელიც მალე ისევ დაითხოვა სახლიდან. ამის შემდეგ ვერა დათაშვილმა განცხადებით მიმართა უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტს და სთხოვა განეხილა გ. ბერაძის საკითხი.

გივი ბერაძე და ვერა დათაშვილი წარდგნენ უნივერსიტეტის ალკკ კომიტეტის წინაშე და მომხდარი სამარცხვინო ფაქტისათვის თანაბრად იქნა დაგმობილი ორივე მათგანის საქციელი.

ყველაზე ალმაშფოთებელი კი ის არის, რომ გივი ბერაძეს ნაკლებად აქვს შეგნებული მის მიერ ჩადენილი დანაშაული, სხვადასხვა, თუმცა უსუსური და არასწორი მიზეზებით ცდილობს იგი თავის გამართლებას.

უნივერსიტეტის ალკკ ბიუროს გადაწყვეტილებით გ. ბერაძე კომკავშირელისათვის, საბჭოთა ახალგაზრდისათვის შეუფერებელი, ამორალური მოქმედების გამო გაირიცხა კომკავშირის რიგებიდან.

დეე, მან იზრუნოს მომავალში მაინც დაადგეს წესიერ გზას და შეძლოს იმ სამარცხვინო ლაქის ჩამოცილება, რომელიც აღნიშნული საქციელით მოეცხო მის პიროვნებას.

ვერა დათაშვილის საკითხი კი განსახილველად გადაეგზავნა იმ კომკავშირულ ორგანიზაციას, სადაც იგი ამჟამად ირიცხება.

ნ. მახარაძე